# ქალაქ ბათუმის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 152311810**
თარიღი:**28/04/2023**

**ქ. ბათუმში გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების (ს/კ №05.36.26.873)) საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის სარგებლობაში განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური**

| № | მისამართი | ობიექტის დასახელება | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები | | საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) | |
| 1 | ქ. ბათუმი, გონიო-კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | 1 კვ.მ | _ | 35 |